განაცხადი სააბონენტო ნომრის პორტირებაზე

თარიღი [] QR-კოდი (eSim-ს შემთხვევაში)

მხარეები:	**ოპერატორი**	**აბონენტი**
სახელი/სახელწ./ UID:	შპს "მაგთიკომი",	
საიდ./პირადი N	204876606	
საკონტაქტო ტელ.:	(995 32) 217 00 00, 110011 (ცხელი ხაზი)	
საკონტაქტო ელ.ფოსტა:	office@magticom.ge	

ოპერატორის:

მისამართი:	ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7
საბანკო რეკვიზიტები:	GE96TB0600000899467899; GE66BG0000000241607901; GE81LB0113116112371050

სააბონენტო ნომერი:
დონორი ოპერატორი:
სიმ-ბარათის ტიპი:

სიმ-ბარათის მიღებაზე უფლებამოსილი პირი, თუ სიმ ბარათის მიმღები სხვა პირია:

პორტირების სასურველი თარიღი:

ამ განცხადების წარდგენით მომხმარებელი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება „მაგთიკომის" მიერ დადგენილ სააბონენტო ნომრის პორტირების წესებსა და პირობებს.

1. **<u>სააბონენტო ნომრის პორტირება</u>**

ქვემოთ მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 **მომხმარებელი/აბონენტი** – ამ განაცხადში მითითებული, პორტირების მსურველ პირი.

1.2 **პორტირება** – სააბონენტო ნომრის გადატანა დონორი ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელიდან მიმღებ ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში, სააბონენტო ნომრის შეცვლის გარეშე.

1.3 **დონორი ოპერატორი** – საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, ან სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელი, რომლის ქსელიდანაც მომხმარებელი ითხოვს სააბონენტო ნომრის პორტირებას ან/და რომლის მომსახურებასაც ღებულობდა მომხმარებელი.

1.4 **მიმღები ოპერატორი** – საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, ან სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელი, რომლის საკომუნიკაციო ქსელშიც სააბონენტო ნომრის პორტირება სურს მომხმარებელს.

1.5 **სამუშაო დრო** – 9:00 საათიდან 18:00 საათამდე, კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე, დასვენების დღეების და შაბათ-კვირის გარდა.

1.6 **სამუშაო დღე** - ნებისმიერი დღე კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე, დასვენების დღეების და შაბათ-კვირის გარდა.

2. **<u>პორტირების ზოგადი პირობები</u>**

2.1 დონორი ოპერატორიდან მაგთიკომის საკომუნიკაციო ქსელში პორტირება ხორციელდება განაცხადის საფუძველზე, წინამდებარე წესებისა და პირობების („პორტირების პირობების") და კანონმდებლობის, მათ შორის „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის" დებულების, შესაბამისად.

2.2 პორტირებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მაგთიკომი დასაპორტირებელ ან საკონტაქტო ნომერზე აცნობებს მომხმარებელს პორტირებაზე უარის თქმის მიზეზს. უარის თქმის მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, მომხმარებელი უფლებამოსილია განმეორებით მიმართოს მაგთიკომს პორტირების განაცხადით. პორტირებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეძენილი ფიზიკური სიმ-ბარათი რჩება მომხმარებლის საკუთრებაში. სიმ-ბარათში ან საფოსტო მომსახურებაში გადახდილი საფასური უკან არ ბრუნდება.

2.3 პორტირების პროცესის მიმდინარეობისას შესაძლებელია მომხმარებელს შეუწყდეს მომსახურება, რომლის მაქსიმალური ჯამური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 საათს. მაგთიკომი არ არის პასუხისმგებელი მომსახურების ასეთ შეწყვეტაზე და ეს გარემოება არ წარმოადგენს მომხმარებლის მხრიდან რაიმე სახის თანხის (კომპენსაციის) ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

2.4 წინამდებარე განაცხადი წარმოადგენს სააბონენტო ხელშეკრულების (შემდგომში - სააბონენტო ხელშეკრულება) გაფორმების საფუძველს და მის განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულება და განაცხადი ფორმდება (დისტანციურად გამოხატული თანხმობით ან მატერიალურ ან ელ. დოკუმენტზე აბონენტის ხელმოწერით) ერთდროულად, იმ

დათქმით, რომ სააბონენტო ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ნომრის პორტირების პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ.

2.5 აბონენტის პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები მოცემულია ხელშეკრულებაში და „კონფიდენციალურობის პოლიტიკაში“. თუ პორტირება ვერ განხორციელდა აბონენტის მიერ პორტირების განაცხადში/ხელშეკრულებაში მითითებული პერსონალური მონაცემები განადგურდება 30 დღის ვადაში.

3. <u>**პორტირების მოთხოვნები**</u>

3.1 აბონენტისათვის ცნობილია, რომ პორტირების განხორციელებიდან 30 დღის გასვლამდე იგი ვერ განახორციელებს სხვა ქსელში პორტირებას.

3.2 განაცხადს ხელი უნდა მოაწეროს/დაადასტუროს მხოლოდ უფლებამოსილმა პირმა. უფლებამოსილ პირში იგულისხმება სააბონენტო ნომრის მართლზომიერი მფლობელი, რომელსაც გაფორმებული აქვს ხსააბონენტო ელშეკრულება დონორ ოპერატორთან, რომელიც დასტურდება დონორი ოპერატორის მიერ რეგისტრირებული მონაცემებით ან მართლზომიერი მფლობელის მინდობილი პირი.

3.3 პორტირება განხორციელდება განაცხადის რეგისტრაციიდან მომდევნო სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ სააბონენტო ნომრის პორტირება უკავშირდება მაგთიკომის დაშვებას მომხმარებლის სახაზო-საკაბელო წყვილთან/მეურნეობასთან VOIP-ინტერნეტ პროტოკოლით ხმოვანი სატელეფონო კავშირით მომსახურებისთვის განსაზღვრული სატელეფონო ნომრების პორტირებას, ამ პუნქტის პირველ წინადადებაში გათვალისწინებული პორტირების ვადას შესაძლებელია დაემატოს 7 სამუშაო დღე.

3.4 მომხმარებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს პორტირებაზე მაგთიკომთან შესაბამისი განაცხადის წარდგენით, პორტირებისათვის განსაზღვრულ დრომდე უგვიანეს 1 საათით ადრე, ამასთან პორტირებაზე უარის შესახებ განაცხადის წარდგენა უნდა განხორციელდეს იმ ფორმით, რა ფორმითაც იქნა წარდგენილი განაცხადი. მაგთიკომი არ არის პასუხისმგებელი, თუ სააბონენტო ნომრის პორტირების განაცხადის გაუქმება შეუძლებელია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით (მაგ.: პორტირების ბაზის ადმინისტრატორის მიზეზით).

3.5 ვინაიდან, მაგთიკომი სრულად და დამოუკიდებლად არ ახორციელებს პორტირების პროცესს, იგი არ/ვერ იძლევა გარანტიას, რომ პორტირება განხორციელდება ზუსტად განაცხადში მითითებულ დროს. პორტირების განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მაგთიკომი აცნობებს მომხმარებელს პორტირების განხორციელების დროს.

3.6 მომხმარებლის მიერ პორტირებულ ნომერზე დონორი ოპერატორთან არსებული დავალიანების არ გადახდის შემთხვევაში, მაგთიკომს უფლება აქვს შეუზღუდოს მას მომსახურების მიწოდება.

3.7 მაგთიკომის საკომუნიკაციო ქსელში პორტირების განაცხადის საფუძველზე პორტირება არ განხორციელდება თუ:

3.7.1 განაცხადში მითითებული ინფორმაცია აღმოჩნდება არასრული, უზუსტო, ყალბი, მცდარი, ან/და არ შეესაბამება განაცხადში მითითებულ ნომერთან დაკავშირებით, დონორ ოპერატორთან შენახულ/რეგისტრირებულ ინფორმაციას;

3.7.2 სააბონენტო ნომერი, რომლის პორტირებასაც ითხოვს მომხმარებელი ეკუთვნის სხვა პირს და მომხმარებელს არ აქვს მიღებული შესაბამისი უფლებამოსილება განახორციელოს პორტირება ან განაცხადი წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ ან/და სააბონენტო ნომრის მფლობელი დაუდგენელია;

3.7.3 მომხმარებელს წარდგენილი აქვს განაცხადი იგივე სააბონენტო ნომრის სხვა მიმღებ ოპერატორთან პორტირების თაობაზე;

3.7.4 განაცხადში განსაზღვრული სააბონენტო ნომრის აღებიდან (აბონენტად გახდომიდან) ან ნომრის უკანასკნელი პორტირებიდან არ გასულა 30 კალენდარული დღე;

3.7.5 მომხმარებელს, იმ სააბონენტო ნომერზე, რომლის პორტირებასაც ითხოვს, დონორი ოპერატორისგან მიღებულ მომსახურებაზე გააჩნია წინა თვის/თვეების დავალიანება, ანდა დავალიანების გამო შეზღუდული აქვს მომსახურების მიწოდება;

3.7.6 განაცხადში განსაზღვრული სააბონენტო ნომრის პორტირება შეუძლებელია და ეს გამოწვეული არ არის მაგთიკომის მიზეზით;

3.7.7 არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

3.8 მაგთიკომის საკომუნიკაციო ქსელში სააბონენტო ნომრის პორტირებისას მომხმარებელი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ:

3.8.1 პორტირების პროცესის დასრულების შემდეგ ხდება მხოლოდ მისი სააბონენტო ნომრის გადმოტანა მაგთიკომის ქსელში და მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მისაღებად მომხმარებელმა უნდა იმოქმედოს სააბონენტო ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით;

3.8.2 თავად არის დონორ ოპერატორთან არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი

3.8.3 მაგთიკომის მობილურ ქსელში ჩართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დონორი ოპერატორის მიერ გამოყოფილი სიმ-ბარათის გამოცვლა მაგთიკომის მიერ გადაცემული სიმ-ბარათით;

3.8.4 ის სააბონენტო მოწყობილობა, რომელსაც მომხმარებელი იყენებდა დონორი ოპერატორის მიერ შეთავაზებული მომსახურების მისაღებად, შესაძლებელია იყოს კოდირებული ან/და ფუნქციონალურად არათავსებადი, შეუსაბამო ან/და საჭიროებდეს პარამეტრების განახლებას მაგთიკომის მიერ განსაზღვრული

მომსახურებების მისაღებად და შესაბამისად შესაძლოა მომხმარებელმა სრულად ვერ შეძლოს ან შეფერხებით ან არასრულად შეძლოს მომსახურების მიღება;

3.8.5 პასუხისმგებელია განაცხადში მითითებული ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე. განაცხადში მითითებული ინფორმაცია წარმოადგენს მაგთიკომთან ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს და იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მომხმარებლის მიერ განაცხადში მითითებული ინფორმაცია არის არასრული, უზუსტო, ყალბი, მცდარი ან განაცხადი წარმოდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, აღნიშნული წარმოადგენს მაგთიკომთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს;

3.8.6 პორტირების პროცესი ხორციელდება პორტირების ბაზის ადმინისტრატორის მიერ და შესაბამისად, ოპერატორის ვალდებულია აბონენტის პერსონალური მონაცემები გადასცეს პორტირების ბაზის ადმინისტრატორს;

3.8.7 პორტირებული ნომერზე სარგებლობის უფლება მოპოვებული აქვს დონორ ოპერატორს და იმ შემთხვევაში თუ დონორი ოპერატორის დაკარგავს ნომრით სარგებლობის უფლებას, მაგთიკომი უფლებამოსილია შეუცვალოს აბონენტს პორტირებული ნომერი.

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულება

1. ოპერატორი გაუწევს აბონენტს მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას. ოპერატორი დაარეგისტრირებს აბონენტს ფიზიკური სიმ-ბარათის ან ინტეგრირებული (ელექტრონული) სიმ-ბარათის საშუალებით (eSIM), ხოლო მომსახურების მიწოდება დაიწყება ხელშეკრულების ძალაში შესვლის და:

1.1 eSIM-ის შემთხვევაში - აბონენტის მიერ ოპერატორის პორტალის საშუალებით შესაბამისი QR კოდის გამოყენებით eSIM-ის აქტივაციის და სააბონენტო ანგარიშზე თანხის შეტანის ან მომსახურების პაკეტის შეძენიდან არაუგვიანეს 24 საათში (იხ. eSIM-ის გააქტიურების წესები);

1.2 ფიზიკური სიმ-ბარათის შემთხვევაში - სიმ-ბარათის აპარატში მოთავსების და სააბონენტო ანგარიშზე თანხის შეტანის ან მომსახურების პაკეტის შეძენიდან არაუგვიანეს 24 საათში (ფიზიკური სიმ-ბარათის გააქტიურება).

2. აბონენტი უფლებამოსილია ფიზიკური სიმ-ბარათი მიიღოს ოპერატორის ოფისში ან საკურიერო მომსახურების საშუალებით. ასეთ შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია სიმ-ბარათი ჩაიბაროს ამ ხელშეკრულების დისტანციურად გაფორმებიდან არაუმეტეს 30 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება არ შევა ძალაში და არ წარმოშობს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, გარდა აბონენტის ვალდებულებისა გადაიხადოს ოპერატორის მიერ დადგენილი თანხა (მაგ.: სააბონენტო ნომრის საფასური, საკურიერო მომსახურების თანხა და სხვ.), რომელიც სიმ-ბარათის მომხმარებლის მიზეზით ჩაუბარებლობის გამო ოპერატორის მიერ უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება (ოპერატორის უფლება). აბონენტის მისამართზე სიმ-ბარათის მიწოდების მოთხოვნის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია დაეთანხმოს ონლაინ შეკვეთის წესებსა და პირობებს (იხ. ონლაინ შეკვეთის წესები და პირობები). ფიზიკური სიმ-ბარათის ოპერატორის ოფისში მიღებისას, აბონენტის იდენტიფიცირება განხორციელდება მის საკონტაქტო ნომერზე ან ელ. ფოსტაზე მიღებული შესაბამისი კოდის საშუალებით. შესაბამისად, ხსენებული ქმედების დასასრულებლად აბონენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს აღნიშნული კოდი და გაუზიაროს იგი ოპერატორის წარმომადგენელს.

3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულება ფორმდება ოპერატორის დილერის (მაგთიკომის მიერ განსაზღვრული პირი) მეშვეობით (სიმ-ბარათის გადაცემა ხდება დილერის მიერ), დილერი ჯერ ახორციელებს მაგთიკომის მიერ დადგენილი ფორმით აბონენტის იდენტიფიცირებას და შემდეგ გადასცემს მას ფიზიკურ სიმ-ბარათს. სიმ-ბარათის აპარატში მოთავსებისას აბონენტი მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას შესაბამისი ლინკის მითითებით, რომელზეც განთავსებული იქნება დისტანციური ფორმით გასაფორმებელი სააბონენტო ხელშეკრულება. აბონენტი, პორტალის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, USSD-ს ან მაგთიკომის მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით ადასტურებს მის თანხმობას ხელშეკრულების პირობების გაცნობაზე და დისტანციურად სააბონენტო ხელშეკრულების გაფორმების ფაქტს.

4. თუ სიმ-ბარათის/eSIM-ის მიღებიდან 150 დღის განმავლობაში არ მოხდება ამ ხელშეკრულებაში აღწერილი რომელიმე მეთოდით ნომრის გააქტიურება, ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება და აბონენტის მიერ გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

5. მომსახურების მიწოდება ხორციელდება: 1. წინამდებარე დოკუმენტის; 2 „მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობების“, 3. „ძირითადი მობილური საკომუნიკაციო მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულების“; 4. „კონფიდენციალურობის პოლიტიკის“ და 5. „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესების“ საფუძველზე. ჩამოთვლილი დოკუმენტები, წინამდებარე დოკუმენტთან ერთად წარმოადგენს ერთიან (მთლიან) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულებას (შემდეგში - ხელშეკრულება). აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია ოპერატორის ვებგვერდზე (www.magticom.ge) და ამ დოკუმენტზე აბონენტის დისტანციურად ხელმოწერის შემდგომ იგი ხელმისაწვდომი გახდება პორტალზე (mymagti), აბონენტის გვერდზე, რეგისტრაციისთანავე და გაეგზავნება აბონენტს მის მიერ მითითებულ საკონტაქტო ელ. ფოსტის მისამართზე. ფიზიკური სიმ-ბარათის ოფისში ან საკურიერო მომსახურებით მიღებისას, აბონენტის მიერ არჩეული სააბონენტო

ნომრის ან ნომრების სიმ-ბარათის ნომერ(ებ)ის ნახვა შესაძლებელი იქნება ოპერატორის პორტალზე და არა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ სპეციალურ გრაფაში.

გაფრთხილება! აბონენტი წინამდებარე დოკუმენტის გაფორმებით ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ეთანხმება მასში მითითებულ ყველა დოკუმენტს. შესაბამისად, ხელშეკრულების დისტანციურად გაფორმებამდე, თუ აბონენტი არ არის გაცნობილი ჩამოთვლილ დოკუმენტებს, იგი ვალდებულია ჯერ სათანადოდ გაეცნოს მათ.

6. მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურების/დამატებითი სერვისის მიღებისას, ოპერატორის მიერ შეთავაზებული ფორმით/პირობებით (მოკლე ტექსტური შეტყობინება, USSD, პორტალი, კოდური სიტყვა, ტაბლეტზე ხელმოწერა და სხვ...) აბონენტის მხრიდან ნების გამოვლენა: პორტალიდან, სააბონენტო ნომრიდან/საკონტაქტო ნომრიდან/ელ.ფოსტიდან ან აბონენტის მიერ ნებისმიერი სხვა ფორმით განხორციელებული დასტური უთანაბრდება მის მიერ გამოხატულ თანხმობას კონკრეტულ გარიგებაზე/ქმედებაზე. აბონენტის მიერ ხელმოწერის ტაბლეტით ან სხვა სახით დადასტურებას და ამ საშუალებებით შექმნილ ელექტრონულ დოკუმენტს ენიჭება/აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც მის პირად ხელმოწერას და მატერიალურ დოკუმენტს. ოპერატორი და აბონენტი თანხმდებიან, რომ ელექტრონული დოკუმენტების გაფორმებისას (ხელმოწერისას) გამოიყენებენ ოპერატორის კუთვნილ ხელმოწერის ტაბლეტს. აბონენტი ადასტურებს, რომ იგი გაცნობილია და ეთანხმება ოპერატორის „შეთანხმებას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაზე“, რაც განთავსებულია ოპერატორის ვებგვერდზე - www.magticom.ge.

7. პერსონალური მონაცემების დამუშავება.

7.1ხელშეკრულების გაფორმებისას, ოპერატორი საკუთარ მონაცემთა ბაზაში არეგისტრირებს აბონენტის პერსონალური ინფორმაციას (სახელს/გვარს, პირად ნომერს და სხვა ინფორმაციას, რითაც შესაძლებელია აბონენტის იდენტიფიცირება). ამასთან, ოპერატორი არ გამორიცხავს, რომ აბონენტის პერსონალური ინფორმაცია ოპერატორის პროცესების და გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფების სისტემების ფუნქციონალური სპეციფიკის გათვალისწინებით მის მონაცემთა ბაზაში დაგვიანებით დაფიქსირდეს/აისახოს.

7.2აბონენტის იდენტიფიცირების და მისთვის მომსახურების გაწევის მიზნით ოპერატორს ესაჭიროება აბონენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება, მაგ. აბონენტის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, სქესი, ასაკი, პირადი და საკონტაქტო ნომერი, მისამართი, კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.

7.3ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით/დადასტურებით აბონენტი აცხადებს ინფორმირებულ თანხმობას მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ოპერატორის მიერ, ისევე როგორც გადამოწმდეს შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს/პირის მონაცემთა ბაზაში ოპერატორთან დაცული მონაცემების სისწორის/ვალიდურობის დადასტურების ან აბონენტის იდენტიფიცირების ან მის შესახებ არსებული მონაცემების მოპოვების მიზნით.

7.4აბონენტი თანახმაა, რომ ელექტრონული ხელმოწერის განსახორციელებლად გამოყენებული სისტემების ფუნქციონირებისათვის, ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის და უტყუარობის დასადგენად, ოპერატორი უფლებამოსილია თავად ან/და მესამე პირის მეშვეობით განახორციელოს აბონენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება, რაც ასევე გულისხმობს აბონენტის თანხმობას მისი ბიომეტრიული მონაცემების (ხელმოწერის) დამუშავებაზე.

7.5მომსახურების მიწოდებისათვის ან კანონით დადგენილი ვალდებულების შესასრულებლად, ოპერატორს შესაძლოა დასჭირდეს პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნება როუმინგ პარტნიორებზე, ავტორიზებულ ან ლიცენზირებულ ოპერატორებზე, ან ოპერატორთან აფილირებულ კომპანიებზე. ასევე, მესამე პირებზე, თუ ეს უკავშირდება აბონენტის მიერ მოთხოვნილი მომსახურების გაწევას ან ოპერატორთან არსებული დავალიანების რეპორტინგს, მომსახურების გაუმჯობესებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ადმინისტრირებას, სააბონენტო ანგარიშის მართვას, თაღლითური ქმედებების თავიდან აცილებას.

7.6ოპერატორის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, გამოყენების, გადაცემის და შენახვის სხვა პირობები, მათ შორის დამუშავების საფუძვლები და თანხმობის გამოხმობის წესები, დეტალურად მოცემულია „კონფიდენციალურობის პოლიტიკაში“ და ოპერატორი იღებს ვალდებულებას პერსონალური მონაცემები დაამუშაოს ხელშეკრულების და „კონფიდენციალურობის პოლიტიკის“ შესაბამისად.

7.7აბონენტს უფლება აქვს ოპერატორისათვის მიმართვის გზით ნებისმიერ დროს მოითხოვოს ხელშეკრულების 7.1-7.6 ქვეპუნქტებით განსაზღვრული მიზნებით მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, რა დროსაც აბონენტი აცნობიერებს, რომ მისმა ამ ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მისთვის ცალკეული მომსახურების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.8პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე თანხმობა (აბონენტის მიერ ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე გაცხადებული თანხმობა ან დისტანციურად გამოხატული თანხმობა) გულისხმობს, რომ აბონენტი თანახმაა, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, მიიღოს ოპერატორის და მისი პარტნიორი, თუ კონტრაქტორი კომპანიებისგან ნებისმიერი სახის სარეკლამო ხასიათის შეტყობინებები/შეთავაზებები, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ხმოვანი ზარები, ასევე, მომსახურების ჭრით (ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში). პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის ოპერატორის დაამუშავებს სააბონენტო ნომრის, ელ. ფოსტის, ასაკის, სქესის, ლოკაციის ან ნებისმიერ სხვა მონაცემებს, რაც უზრუნველყოფს აბონენტის ინტერესების შესაბამისად მისთვის სასურველი კომერციული ინფორმაციის მიღების ეფექტურობას.

7.9აბონენტს, უფლება აქვს ხელშეკრულების გაფორმებისას ან მისი მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს დაეთანხმოს ან უარი განაცხადოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავებას, ოპერატორის მიერ დადგენილი წესით, რომელიც, თავის მხრივ, მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე. უარის თქმის ან თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში ოპერატორი აღარ დაამუშავებს აბონენტის მონაცემებს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის.

7.10 ოპერატორის მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემების დამუშავების შეწყვეტა არ გულისხმობს, რომ ოპერატორი დაბლოკავს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით სხვა საკომუნიკაციო კომპანიის ქსელიდან გენერირებულ ან კონკრეტული სუბიექტის მიერ მათი პასუხისმგებლობით გაგზავნილ შეტყობინებებს (მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს). ასეთი შეტყობინებები და მათი დაბლოკვა აბონენტმა უნდა განახორციელოს კონკრეტულ შეტყობინებაში მითითებული წესით.

8. **ტარიფები**. ფიზიკური სიმ-ბარათის ღირებულება - 10 ₾. E-Sim-ის აქტივაცია - 10 ₾. მომსახურების სტანდარტული ტარიფები: ხმოვანი ზარი საქ.-ს მობილურ და ფიქსირებულ ქსელში - 1 წუთი - 0.24 ₾ და ზარის წამოწყება 0.12 ₾; SMS (საქ.) – 0.06 ₾. ინტერნეტი - 1მბ - 0.1₾. სტანდარტული და სხვა სატარიფო გეგმების/აქციების, მათ შორის დამატებითი სერვისების, საერთაშორისო ზარების, როუმინგის, „სპეც. ნომრების“ ტარიფები და პირობები მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე; **მომსახურების ტარიფები WiFi მოდემისთვის:** 30 დღიანი მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობის ღირებულება 29 ₾ (შემდგომში - WiFi პაკეტი). ამასთან, თუ WiFi პაკეტის მოქმედების 30 დღიანი ვადის ამოწურვამდე, აბონენტი შეიძენს იგივე WiFi პაკეტს, ახალი პაკეტის მოქმედების ვადა არ გადაიწევს და იმოქმედებს წინა WiFi პაკეტის ყიდვიდან 30 დღის განმავლობაში. 50 000 მეგაბაიტის მოხმარების შემთხვევაში ინტერნეტის სიჩქარე იქნება მაქსიმუმ 300 კბ/წმ.; მაქსიმალური სიჩქარე - 5მბ/წმ. აბონენტი უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ფორმით/პირობებით, გაიაქტიუროს/შეიძინოს ოპერატორის მიერ შეთავაზებული ტარიფი/პაკეტი.

9. ხელშეკრულება ძალაში შედის აბონენტის მიერ მისი დისტანციურად გაფორმების საფუძველზე და მოქმედებს მის შეწყვეტამდე. ფიზიკური სიმ-ბარათის ოპერატორის ოფისში ჩაბარების ან საკურიერო მომსახურების საშუალებით მიღების არჩევისას, ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში აბონენტი ფიზიკურად ჩაიბარებს სიმ ბარათს. თუ ხელშეკრულება ფორმდება ნომრის პორტირების საფუძველზე, იგი ძალაში შედის მხოლოდ ნომრის პორტირების პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ.

10. თუ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს, მხარეებს შორის უკვე არსებობს მობილურ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულება ან ხელშეკრულებები, წინამდებარე ხელშეკრულება ჩაანაცვლებს ყველა მათგანს, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს: ა) აბონენტის სახელზე უკვე რეგისტრირებული ნომრ(ებ)ის ცვლილებას; ბ) კონკრეტულ სააბონენტო ნომრებზე აბონენტის მიერ არჩეული ტარიფის ცვლილებას; გ) სააბონენტო ნომრის/ნომრებით სარგებლობის მიზნობრიობის ცვლილებას. ამასთან, ამ შეთანხმების გათვალისწინებით, აბონენტი ადასტურებს ოპერატორის უფლებამოსილებას, გაანადგუროს ამ ხელშეკრულების დადებამდე აბონენტთან მობილურ მომსახურებაზე გაფორმებული, მისი ხელმოწერით დადასტურებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი/ინფორმაცია/მონაცემი.

11. აბონენტი ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ზუსტად აღიქვამს ამ ხელშეკრულების პირობებს/შინაარსს, სამართლებრივ შედეგებს და იგი სრულად შეესაბამება მის ნებას (ეთანხმება მას). ამასთან, მის მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების პირობის შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

12. აბონენტი ადასტურებს ხელშეკრულებაში მის მიერ მითითებული საკონტაქტო მონაცემების ნამდვილობას და სისწორეს. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის მიერ მითითებული პერსონალური მონაცემები (განსაკუთრებით სახელი, გვარი, პირადი ნომერი) ან ოპერატორისთვის მიწოდებული დოკუმენტი აღმოჩნდება არასწორი/ყალბი, ოპერატორი უფლებამოსილია ასეთი ფაქტის დადგენისთანავე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება/მომსახურება.

13. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება ფორმდება დისტანციურად. აბონენტმა, მისი თანხმობა ხელშეკრულების პირობების გაცნობაზე და შესრულებაზე დაადასტურა დისტანციურად, შესაბამის ღილაკზე დაჭერით/კოდის აკრეფით.

მსურს მივიღო მაგთიკომისგან სარეკლამო ხასიათის შეთავაზებები ☐

მსურს მივიღო მაგთიკომის და მისი პარტნიორი/კონტრაქტორი კომპანიებისგან სარეკლამო ხასიათის შეთავაზებები ☐

არ მსურს მივიღო მაგთიკომის და მისი პარტნიორი/კონტრაქტორი კომპანიებისგან სარეკლამო ხასიათის შეთავაზებები ☐

დეტალები იხ. ამ დოკუმენტის მე-7 მუხლში და „კონფიდენციალურობის პოლიტიკაში“.

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულების დანართი

სააბონენტო ნომერი	სიმ-ბარათის ნომერი	სიმ-ბარათის სახეობა	სიმ-ბარათის გამოყენების მიზნობრიობა
XXXXXXXXXXX	XXXXXXXXXXX	ფიზიკური/eSim	სტანდარტული/მოდემი - M2M-IoT